2013-2017

სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი



გარემოსდაცვითი
ინფორმაციისა და განათლების
ცენტრი

2013 წლის 14 მაისს დაარსდა საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - „გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი“, რომლის საქმიანობის სფეროა მდგრადი განვითარების ხელშეწყობა და პირველ რიგში, მისი გარემოს კომპონენტის აქტუალიზაცია, როგორც შესაბამის განათლებასთან, ასევე სრულფასოვან ინფორმაციასთან ხელმისაწვდომობის გზით.

თავის საქმიანობაში, ცენტრი ეყრდნობა ,,გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ“ კონვენციის პრინციპებს.

შინაარსი

ცენტრის ფუნქციები და ამოცანები 1

განათლება მდგრადი განვითარებისთვის 2

მმართველობა და კოორდინაცია 2
ფორმალური განათლება 3
არაფორმალური განათლება 5

სასწავლო მოდულები 16

პუბლიკაციები 17

სერტიფიცირება 18

სტრატეგიული დოკუმენტები 18

მემორანდუმები 19

მერვე გარემოსდაცვითი მინისტერიალი "გარემო ევროპისთვის" 21

კლიმატის მწვანე ფონდი 22

გარემოსდაცვითი ინფორმაცია 23

სამართლებრივი საფუძვლები 23

საკანონმდებლო ცვლილება: ტერმინი - „გარემოსდაცვითი ინფორმაცია" 23
გარემოსდაცვით ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის წესი 23

ვებ გვერდი - eiec.gov.ge 23
ელექტრონული სერვისები 25
გარემოზე ზემოქმედების ნებართვების რუკა/რეესტრი 25
გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და ცოდნის მართვის სისტემა 26
ნარჩენების მართვის ელექტრონული სისტემა 28
ჰაერის მონიტორინგის სისტემა 28
ტესტირების სისტემა 28

დონორი ორგანიზაციები 29

ცენტრის ფუნქციები და ამოცანები

- გარემოსდაცვითი ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზუნველყოფა ერთიანი გარემოსდაცვითი ინფორმაციის მართვის სისტემის შექმნის გზით
- ეკოლოგიური ექსპერტიზის ჩატარებასა და გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის საჯაროობის უზრუნველყოფის ხელშეწყობა
- ბუნებრივი რესურსების მოპოვებასა და სარგებლობასთან დაკავშირებული ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ ინფორმაციის საჯაროობის უზრუნველყოფის ხელშეწყობა
- გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების ჩართულობის და ინფორმირებულობის ხელშეწყობა
- გარემოსდაცვით სფეროში საჯარო განხილვების ხელშეწყობა
- "განათლება მდგრადი განვითარებისათვის" ხელშეწყობა (მათ შორის, ტრენინგების, კვალიფიკაციის ამაღლების კურსების, სემინარების ორგანიზების, პროფესიული კურსების შემუშავების გზით)
- გარემოსდაცვით სფეროსთან დაკავშირებული საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სერტიფიცირების უზრუნველყოფა
- საზოგადოების გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლება, შესაბამისი სპეციალისტების მომზადება, გადამზადება, კვალიფიკაციის ამაღლება და სწავლების ხელშეწყობა
- საგრანტო პროგრამების ორგანიზება
- კომპეტენციის ფარგლებში „მწვანე ეკონომიკისა" და „მწვანე ბიზნესის" პრინციპების დანერგვის ხელშეწყობა
- კომპეტენციის ფარგლებში შესაბამისი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების პროექტების შემუშავება და დადგენილი წესით სამინისტროსათვის წარდგენა

განათლება მდგრადი განვითარებისთვის

სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი მდგრადი განვითარების ხელშეწყობას და პირველ რიგში, მისი გარემოს კომპონენტის აქტუალიზაციას უზრუნველყოფს შესაბამის განათლებასთან ხელმისაწვდომობის გზით.

სწორედ ამიტომ ცენტრი მუშაობს განათლება მდგრადი განვითარებისთვის პრინციპების სწავლებისა და დანერგვისათვის, რომლის უმთავრესი მიზანია მდგრადი, მომავალზე ორიენტირებული საზოგადოების ჩამოყალიბება, რომელიც კომპლექსური მიდგომით გარემოსდაცვით, ეკონომიკურ და ადამიანის კეთილდღეობის ასპექტებს თანაბრად გაითვალისწინებს.

ამ მიზნით ცენტრის მიერ შემუშავდა:

1 გარემოსდაცვითი განათლების სტრატეგია და სამოქმედო გეგმა

2014-2017 წწ

2 განათლება მდგრადი განვითარებისათვის - საქართველოს ეროვნული სტრატეგია და სამოქმედო გეგმა

2018-2022 წწ

მმართველობა და კოორდინაცია

2014 წლიდან ცენტრი კოორდინირებას უწევს საქართველოში გარემოსდაცვით განათლებას, რომლის მიზანია ისეთი ქმედებების დაგეგმვა და განხორციელება, რომელიც ხელს შეუწყობს საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას და მათ ჩართვას გარემოსდაცვით ღონისძიებებში.

განათლება მდგრადი განვითარებისთვის პრინციპების სწავლებისა და დანერგვისათვის ცენტრმა განახორციელა მნიშვნელოვანი პროექტები, როგორც ფორმალური, ისე არაფორმალური განათლების მიმართულებით.

ფორმალური განათლება

სკოლამდელი გარემოსდაცვითი განათლება

სკოლამდელი გარემოსდაცვითი განათლების ხელშეწყობის მიზნით, სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის ინიციატივით, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ შემუშავებულ და 2015 წელს დამტკიცებულ სასკოლო მზაობის საგანმანათლებლო სახელმწიფო სტანდარტს გარემოსდაცვითი კომპონენტი დაემატა.

2016 წელს სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის მიერ სასკოლო მზაობის პროგრამის ფარგლებში შემუშავდა დამხმარე სახელმძღვანელო აღმზრდელთათვის - **,,სკოლამდელი გარემოსდაცვითი განათლება“**, რომელიც მოიცავს შემდეგ გარემოსდაცვით თემებს:

- ბიომრავალფეროვნება ჩვენ გარშემო
- წყლისა და ენერგიის დაზოგვა
- ნარჩენების მართვა

სახელმძღვანელო დაინერგა ქ. თბილისის (166) , თვითმმართველი ქალაქ თელავის (9), ასევე თელავის (21), ახმეტისა (37) და გურჯაანის (37) მუნიციპალიტეტების ყველა საბავშვო ბაღში. სახელმძღვანელოს საქართველოს რეგიონებში დანერგვის პროცესი გრძელდება.

სახელმძღვანელოს - ,,სკოლამდელი გარემოსდაცვითი განათლება“ დანერგვის მიზნით აღნიშნული ბაღების მეთოდისტებსა და აღმზრდელებს (270) ჩაუტარდათ ტრენინგები.

საბავშვო ბაღებში გარემოსდაცვითი განათლების კომპონენტების გაძლიერების მიზანია სკოლამდელ ბავშვებში გარემოს მიმართ პასუხისმგებლობის გაზრდა.

სასკოლო გარემოსდაცვითი განათლება

სასკოლო გარემოსდაცვითი განათლების ხელშეწყობის მიზნით, შემუშავდა დოკუმენტი - **გარემოსდაცვითი განათლება მდგრადი განვითარებისათვის (ESD) - გამჭოლი სტანდარტი,** რომელიც გადაეცა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ეროვნულ სასწავლო გეგმაში მისი დანერგვის მიზნით (2015).

ცენტრის ინიციატივით ცვლილება შევიდა სასკოლო სახელმძღვანელოების (1-6 კლასების) შეფასების კრიტერიუმებში და დაემატა მდგრადი განვითარების პრინციპები, რომლებიც 2017 წლიდან გამჭოლად აისახება დაწყებითი საფეხურის ყველა სახელმძღვანელოში.

სასკოლო სახელმძღვანელოების შეფასების კრიტერიუმებში მდგრადი განვითარების პრინციპები აისახა შემდეგნაირად:

შინაარსის შეფასება	
კრიტერიუმი 1	1.8. შინაარსი ხელს უწყობს მოსწავლის სამოქალაქო ცნობიერების-განვითარებას, ითვალისწინებს მდგრადი განვითარების პრინციპებს და ხელს უწყობს მათ გააზრებას ასაკის შესაბამისად.

ძალადობისკენ მოწოდების ან შუღლის გაღვივების აკრძალვა	
მოთხოვნა 5	5.1 ილუსტრაციები და შინაარსი არ შეიცავს მოწოდებებს: ნებისმიერი სახის ძალადობის, მათ შორის, ცოცხალი და არაცოცხალი ბუნების მიმართ ვანდალური და ზიანის შემცველი ქმედების ჩადენისკენ; ომისა და ძალადობის, ეროვნული, კუთხური, რელიგიური ან სოციალური შუღლის გაღვივების მაპროვოცირებელ ტექსტებსა და ილუსტრაციებს.

შესაბამისობა მდგრადი განვითარების პრინციპებთან	
მოთხოვნა 9	9.1 შესაბამისობაშია მდგრადი განვითარების პრინციპებთან, ითვა-ლისწინებს მდგრადი წარმოება-მოხმარების და დაზოგვის მნიშ-ვნელობას მოკლევადიან და გრძლევადიან პერსპექტივაში, ხელს უწყობს შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღებას.

პრინციპების წარმატებით ასახვის მიზნით, სასკოლო სახელმძღვანელოების პოტენციურ ავტორებსა (75) და სახელმძღვანელოების რეცენზენტებს (121) ჩაუტარდათ ტრენინგები (2017).

უმაღლესი გარემოსდაცვითი განათლება

საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტთან (GIPA) თანამშრომლობით დაინერგა და მიმდინარეობს სამაგისტრო პროგრამა: **,,გარემოსდაცვითი მენეჯმენტი და პოლიტიკა”**. პროგრამის მიზანია მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადება გარემოსდაცვითი მმართველობისა და პოლიტიკის სფეროში, რომლებიც წარმატებით იმუშავებენ როგორც საჯარო, ასევე კერძო, თუ საზოგადოებრივ სექტორში სხვადასხვა კვლევით, აკადემიურ თუ მენეჯერულ თანამდებობებზე (2015).

არაფორმალური განათლება

გადამზადებისა და სერტიფიცირების კურსები

ცენტრის მიერ საზოგადოების დაინტერესებული პირებისთვის გაიმართა შემდეგი ტრენინგები:

გარემოსდაცვითი მმართველი

კურსის მიზანია ნარჩენების მართვის კოდექსით დაკისრებული ვალებულებებისა და თანამედროვე სამყაროს სტანდარტების გათვალისწინებით კომპანიებისთვის ნარჩენების მართვის სფეროში შესაბამისი კადრის გადამზადება და კვალიფიკაციის ამაღლება (2015-2017)

ველური ბუნების დაცვა და კონსერვაცია

შსს სასაზღვრო პოლიციის მესაზღვრეები გაეცნენ ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორიცაა საქართველოში გავრცელებული სახეობები, ბიომრავალფეროვნების თანამედროვე საფრთხეები და მათთან ბრძოლის გზები (2017)

რესურსეფექტური და სუფთა წარმოების ხელშეწყობა

ტრენინგის ძირითადი მიზანია რესურსეფექტური და სუფთა წარმოების ხელშეწყობა, ასევე საქართველოში ეკოინოვაციების პოპულარიზაცია. ტრენინგს სახელმწიფო და კერძო სექტორის, არასათავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები და დამოუკიდებელი ექსპერტები ესწრებოდნენ (2017)

რადიაციული უსაფრთხოების საკითხები სამედიცინო სფეროში

კურსის მიზანია რადიაციული უსაფრთხოების პასუხისმგებელ პირთა და მაიონებელი გამოსხივების წყაროსთან მომუშავე პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლება რადიაციული უსაფრთხოების საკითხებში, ასევე ბირთვული და რადიაციული კანონმდებლობის გაცნობა და მათი პრაქტიკაში დანერგვა (2017)

ეკოსისტემური სერვისები და ურბანული განვითარება

სტუდენტებს ჩაუტარდათ ტრენინგები დებატების ხელოვნებასა და ეკოსისტემურ სერვისებზე. ასევე მოეწყო საველე გასვლა (2017)

ნარჩენების მართვის თანამედროვე ტექნოლოგიები

ტრენინგის მიზანია მოსწავლეებისთვის ნარჩენების მართვის თანამედროვე ტექნოლოგიების, ასევე საქართველოს მიერ აღებული ვალდებულებებისა და შესაბამისი კანონმდებლობის შესახებ ინფორმაციის მიწოდება (2017)

ლანდშაფტისა და მიწის რესურსების მდგრადი მართვის დანერგვა

პროექტის "ლანდშაფტისა და მიწის რესურსების მდგრადი მართვის დანერგვა სასოფლო ტერიტორიებზე მიწის დეგრადაციისა და სიღარიბის შემცირების მიზნით" ფარგლებში ცენტრის მიერ შემუშავდა ტრენინგმოდული და ჩატარადა ტრენინგები დედოფლისწყაროს, ახმეტის, გარდაბნისა და სიღნაღის მუნიციპალიტეტებში. გადამზადდნენ ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები, ფერმერები, სტუდენტები და სხვა დაინტერესებული პირები. ასევე, შემუშავდა და გავრცელდა საგანმანათლებლო ბუკლეტი „ნიადაგების დეგრადაცია და მის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებები" და შეიქმნა ვებ გვერდი - www.slm.ge, რომელზეც ხელმისაწვდომია ინფორმაცია პროექტის თაობაზე, დაგეგმილ თუ განხორციელებულ ღონისძიებებზე და შემუშავებულ მასალებზე (2017)

ეკოპროექტების მენეჯმენტი

პროგრამის მიზანია მონაწილეთათვის ეკოპროექტების წერისა და მართვის უნარების შეძენა. კურსი შექმნილია მათთვის, ვისაც სურს მონაწილეობა მიიღოს საერთაშორისო, არასამთავრობო თუ კერძო ორგანიზაციების პროექტებში ან განახორციელოს საკუთარი იდეები (2016)

მედია გარემოსთვის

პროექტის - "მედიის როლის გაძლიერება ბუნების კონსერვაციის სფეროში" - ფარგლებში განხორციელდა ტრენინგები ჟურნალისტებისა და ბლოგერების შესაძლებლობათა გაძლიერების მიზნით გარემოსდაცვით სფეროში (2016)

ჰიდრომეტეოროლოგიური კატასტროფების რისკების მართვა

ტრენინგის მიზანია ჰიდრომეტეოროლოგიური საფრთხეების (წყალდიდობა, ღვარცოფი, მეწყერი) რისკის შემცველ რეგიონებში მცხოვრები მოსახლეობის ინფორმირება რისკების და საფრთხეების შესახებ. ტრენინგი გაიარა ონის, ამბროლაურის, ცაგერის, ლენტეხის, წყალტუბოსა და სამტრედიის მუნიციპალიტეტების თვითმმართველობისა და ადგილობრივი მოსახლეობის წარმომადგენლებმა (2016)

მაცივარაგენტზე მომუშავე მოწყობილობების მომსახურე ტექნიკოსის ტრენინგი

2018 წლის 1 იანვრიდან მაცივარაგენტზე მომუშავე მოწყობილობების მომსახურების უფლება აქვს მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით სერტიფიცირებულ ტექნიკოსს. ტრენინგის მიზანია ტექნიკოსებითვის პრაქტიკული საკითხებისა და საკანონმდებლო ცვლილებების შესახებ ინფორმაციის მიწოდება (2016)

ადამიანის ეკოლოგიური უფლებები

ტრენინგის მიზანია ორჰუსის კონვენციის შესაბამისად ადამიანის ეკოლოგიური უფლებების შესახებ სტუდენტების ინფორმირება (2015)

2013-2017 წლებში ცენტრის მიერ განხორციელდა 160 ტრენინგი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 2700-მდე ადამიანმა.

სამინისტროს კვალიფიციური კადრების არსებობის ხელშეწყობა

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით ცენტრის მიერ განახორციელდა შემდეგი ტრენინგები:

1. გარემოსდაცვითი ზედამხედველობის პატრულირებისა და სწრაფი რეაგირების თანამშრომელთა შესაძლებლობების გაძლიერება (2017)
2. მენეჯმენტი (2017)
3. დროის ეფექტიანი მართვა (2017)
4. დასმული ამოცანის ეფექტიანი გადაწყვეტა (2017)
5. ხელმძღვანელთან კომუნიკაცია (2017)
6. საქართველოს დაცულ ტერიტორიებზე სამართალდარღვევების გამოვლენა და შემდგომი რეაგირება (2016)
7. ტყის დაგეგმვისა და მართვის ძირითადი პრინციპები (2016)
8. კომუნიკაციის ფსიქოლოგია (2015-2016)
9. ეროვნული სატყეო სააგენტოს თანამშრომლების, ტყის მცველების შესაძლებლობების გაძლიერება (2015)
10. საქართველოს დაცულ ტერიტორიებზე ადმინისტრაციული სამართალდარღვევის გამოვლენა და შემდგომი რეაგირება (2015)
11. პოზიციის დეკლარაცია (2015)
12. ტრენერთა შიდა რეზერვის ჩამოყალიბება ტყის მცველთა წვრთნისათვის (2014)
13. ინსპექტირების პროცედურები და პრაქტიკული ასპექტების ზოგადი კურსი (2014)
14. ტყის მცველების ფუნქცია-მოვალეობებიდან გამომდინარე ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე რეაგირებისა და ტყის მართვის სასწავლო კურსი (2014)
15. ტყის მცველების შესაძლებლობების გაძლიერება (2014)
16. ახალგაზრდა სპეციალისტთა ტყის ტაქსაციაში გადამზადება (2014)
17. ტრენინგი ტრენერთათვის „როგორ გავხდეთ კარგი ტრენერი“ (2013-2014)

გადამზადდა საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს 1356 თანამშრომელი.

საზოგადოების გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლება

„ეკო-ჰაბი“

მწვანე სივრცე, სადაც საზოგადოებას საშუალება ეძლევა დაესწროს საჯარო ლექციებს, დისკუსიებსა და კინოჩვენებებს გარემოსდაცვით თემებზე

- ნადირობა და ბრაკონიერობა (2017)
- გაუდაბნოება (2017)
- გარემოსდაცვითი ფილმების (“შავი მასა”, “დახშული სივრცე”) ჩვენება (2017)
- კინოჩვენება - მოდის რეალური ფასი (2017)
- დებატები - ეკოსისტემური სერვისები და ურბანული განვითარება (2017)
- რა შემთხვევებში ირღვევა გარემოსდაცვითი კანონმდებლობა (2016)
- რამდენად მზადაა ბიზნესი და საზოგადოება ნარჩენების მართვისთვის? (2016)
- მწვანე ეკონომიკის თანამედროვე კონცეფცია (2016)
- თბილისის ეკოლოგიური მდგომარეობა (2016)
- ენერგოეფექტიანობა თეორიასა და პრაქტიკაში (2016)
- სატყეო სექტორის რეფორმა და ახალი კანონმდებლობა (2016)
- როგორ გადავიღოთ ლანდშაფტის ფოტო (2016)
- გაუზიარე გამოცდილება (2016)
- ეკო სტარტაპები (2016)
- ტექნოლოგიები და ველური ბუნება (2016)
- საჯარო ლექცია ვერცხლისწყლის შესახებ (2016)
- კინოჩვენება - „სახლი - პაემანი პლანეტასთან” (2015)
- მწვანე ბიზნესი და სამშენებლო სტანდარტები (2015)

„მწვანე ჩაი მინისტრთან ერთად“

გარემოსდაცვითი თემებით დაინტერესებული პირების და გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის შეხვედრები არაფორმალურ გარემოში, სადაც მიმდინარეობს სხვადასხვა მნიშვნელოვანი გარემოსდაცვითი საკითხის განხილვა

- ”მწვანე” ეკონომიკის თანამედროვე კონცეფცია (2016)
- მნიშვნელოვანი გარემოსდაცვითი საკითხები და ამ სფეროში არსებული პრობლემები (2016)
- გარემოზე ზემოქმედების შეფასების ახალი სისტემა (2016)
- ხშირად დასმული კითხვები - დაცული ტერიტორიები, ნადირობა, ნარჩენების სეპარირება, გარემოსდაცვით სფეროში დანერგილი სიახლეები და ბათუმში დაგეგმილი მინისტერიალი (2016)
- მინისტრთა მერვე კონფერენცია „გარემო ევროპისთვის” (2016)
-
- მწვანე ბიზნესი (2016)
- ეკოაქტივიზმი (2016)

„მიწის დეგრადაცია და მდგრადი მართვა“

პროექტის “ლანდშაფტისა და მიწის რესურსების მდგრადი მართვის დანერგვა სასოფლო ტერიტორიებზე მიწის დეგრადაციისა და სიღარიბის შემცირების მიზნით” ფარგლებში მედიის (მათ შორის რეგიონული) წარომადგენლების ცნობიერების ამაღლება და შესაბამისად, მიწის დეგრადაციის და მდგრადი მართვის საკითხების აქტიური გაშუქებისა და ინფორმაციის გავრცელების ხელშეწყობა (2017)

გარემოსდაცვითი მართვა და გადაწყვეტილებები რიოს კონვენციების განხორციელების გაუმჯობესებული მონიტორინგისთვის

პროექტის „გლობალური გარემოს მონიტორინგის გაუმჯობესებისა და მის შესახებ ცოდნის ამაღლების მიზნით ინფორმაციის მართვის ჰარმონიზება საქართველოში“ ფარგლებში საინფორმაციო შეხვედრები გაიმართა, რომლის მიზანია უზრუნველყოს რიოს სამი კონვენციით დაკისრებული მოვალეობებისა და მათი განხორციელების გზების თაობაზე ცნობიერების ამაღლება, რაც სახელმწიფოში გარემოსდაცვითი დაგეგმარების, გადაწყვეტილების მიღებისა და მონიტორინგის პროცესების გაუმჯობესების წინაპირობაა. საინფორმაციო შეხვედრებს ესწრებოდა სახელმწიფო (მათ შორის ადგილობრივი ხელისუფლების) და კერძო სექტორის წარმომადგენლები

„თავისუფალი გაკვეთილები“

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს „თავისუფალი გაკვეთილების” პროექტის ფარგლებში, გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრმა შექმნა კურსი, რომელიც მიმოიხილავს აქტუალურ გარემოსდაცვით საკითხებს. აღნიშნული კურსი, ინტერაქტიული სწავლების მეთოდებზე დაყრდნობით, მოსწავლეს სთავზობს კომბინირებულ თეორიულ და პრაქტიკულ მეცადინეობას, როგორც ინდივიდუალური, ასევე ჯგუფური კომპონენტის გათვალისწინებით. პროექტის ფარგლებში, მასწავლებლების ხელშეწყობის მიზნით, ცენტრის ბაზაზე მზადდება სახელმძღვანელო, რომელიც მასწავლებელს თითოეულ გარემოსდაცვით თემაზე მიაწვდის როგორც თეორიულ, ასევე პრაქტიკული მეცადინეობის სხვადასხვა მაგალითს (2017).

თავისუფალი გაკვეთილების ფარგლებში შემუშავდა შემდეგი თავები:

1 მდგრადი განვითარება
2 ადამიანის ეკოლოგიური უფლებები
3 კლიმატის ცვლილება

თავისუფალი გაკვეთილების ფარგლებში შემუშავდა შემდეგი თავები:

4 ეკოსისტემები
5 ბიომრავალფეროვნება
6 წყალი
7 ჰაერი
8 ნიადაგი
9 გაუდაბნოება
10 ნარჩენების მართვა
11 მიგრაცია, ურბანიზაცია და გარემოს დაცვა
12 ბუნებრივი კატასტროფები, რისკების მართვა

კარიერა მდგრადი მომავლისთვის

აღნიშნული პროექტის მიზანია მდგრადი განვითარების შესახებ სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლების ცნობიერების ამაღლება და მდგრადი განვითარებისთვის შესაბამისი უნარების გამომუშავება (2017)

ეკოლიდერთა სკოლა

13-17 წლის მოსწავლეებს საშუალება ეძლევათ ეკოლიდერთა სკოლაში გაიარონ თემატური ტრენინგები: ბიომრავალფეროვნების მნიშვნელობა და საფრთხეები, პროექტების წერა, დაცული ტერიტორიების მნიშვნელობა, ატმოსფერული ჰაერი და წყლის რესურსები, ნარჩენების მართვის თანამედროვე ტექნოლოგიები, მწვანე ეკონომიკა, გარემოსდაცვითი სამართალი, PR ტექნოლოგიები და ა.შ. (2016)

,,მოხალისე ლექტორი"

პროექტის ფარგლებში, ცენტრის, ასევე საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს ყველა უწყების თანამშრომელი მართავს გარემოსდაცვით თემატურ ლექციებს სხვადასხვა სამიზნე ჯგუფებისთვის. ლექციების ბაზა მოიცავს 50-მდე დასახელების თემას (2014-2017).

მოხალისე ლექტორების მიერ ჩატარდა ლექცია-სემინარები შემდეგ თემებზე:

- ადამიანის გარემოსდაცვითი უფლებები - ორჰუსის კონვენცია
- საქართველოს ბიომრავალფეროვნება და დაცული ტერიტორიები
- ნარჩენების მართვის თანამედროვე ტექნოლოგიები
- ბიომრავალფეროვნების მნიშვნელობა და საფრთხეები
- ოზონის შრის მნიშვნელობა
- ლანდშაფტები და მღვიმეები
- წყლის რესურსების დაცვა
- მწვანე ეკონომიკა
- ჰაერის მონიტორინგი
- ვერცხლისწყალი
- ჭარბტენიენი ტერიტორიების მნიშვნელობა
- გარემოს დაცვა და ეკოლოგია
- ბზა - საფრთხეები და არსებული რეალობა
- ქვეწარმავლები და მათი როლი ეკოსისტემაში
- დედამიწის გეოლოგიური ასაკი
- შექმენი შენი ეკოსისტემა
- კლიმატის ცვლილება
- ეკოსისტემები და ბიომრავალფეროვნება
- გაუდაბნოება
- განსაკუთრებული მნიშვნელობის ტერიტორიები, როგორც მემკვიდრეობა
- წყლის ეკოსისტემები
- მწვანე მომხმარებლობა
- და სხვა

2014-2017 წლებში ლექცია-სემინარები მოისმინა 3500-მდე მოსწავლემ, 1000-მდე სტუდენტმა და 500-მდე მასწავლებელმა.

მწვანე დღეები

ყოველწლიურად იმართება თემატური ცნობიერების ასამაღლებელი კამპანიები მწვანე კალენდრის მიხედვით.

2 თებერვალი - ჭარბტენიანი ტერიტორიების დაცვის საერთაშორისო დღე

22 მარტი - წყლის რესურსების დაცვის საერთაშორის დღე

22 აპრილი - დედამიწის დღე

22 მაისი - ბიომრავალფეროვნების დაცვის საერთაშორისო დღე

5 ივნისი - გარემოს დაცვის დღე

17 ივნისი - გვალვასა და გაუდაბნოებასთან ბრძოლის საერთაშორისო დღე

16 სექტემბერი - ოზონის შრის დაცვის საერთაშორისო დღე

28 სექტემბერი - მწვანე მომხმარებლის საერთაშორისო დღე

22 ოქტომბერი - ხის დარგვის საერთაშორისო დღე

მწვანე დღეების ფარგლებში ჩატარებულ ღონისძიებებში ჩართულნი არიან, როგორც თბილისის, ისე რეგიონების მოსწავლეები და სტუდენტები.

ჩვენი ქვეყნის წითელი ნუსხა

საქართველოში გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფ გარეულ ცხოველთა და ველურ მცენარეთა მდგომარეობისა და დაცულობის სტატუსის შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლება (2015-2017)

მწვანე ბიზნესის სიახლეები

მსოფლიოში არსებული მწვანე ბიზნესის და ინოვაციური პროდუქტების პოპულარიზაცია (2015-2017)

რუბრიკა ,,მწვანე ბიზნესი"

გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი და რადიო "კომერსანტი" მსმენელს სთავაზობს რუბრიკას „მწვანე ბიზნესი", რაც გარემოსდაცვითი საკითხების შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლებასა და „მწვანე", ინოვაციური პროდუქტების პოპულარიზაციას ითვალისწინებს (2015-2017)

ელექტრონული კითხვარები

სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის ოფიციალურ ფეისბუქ გვერდზე რეგულარულად ქვეყნდება კითხვარები სხვადასხვა თემებზე. აღნიშნულის მიზანს წარმოადგენს საზოგადოებისთვის კონკრეტულ თემებთან დაკავშირებით ცნობიერების ამაღლება და მათთვის ინფორმაციის სახალისო და მარტივი გზით მიწოდება (2017).
შედგენილია 6 კითხვარი:

- რამდენად კარგად იცნობთ საქართველოს ბიომრავალფეროვნებას?
- რა იცით საქართველოს დაცული ტერიტორიების შესახებ?
- ხართ თუ არა „მწვანე" მომხმარებელი?
- რა იცით ნარჩენების შესახებ?
- რა იცით მგლების შესახებ?
- რა იცით ლეშიჭამია ფრინველების შესახებ?

ჯამში კითხვარები 1 500 ადამიანზე მეტმა შეავსო.

ტელეპროექტი

კვირაში ერთხელ, რუსთავი 2-ზე მიმდინარეობდა გადაცემა რომლის მიზანს მდგრადი განვითარებისა და ბიომრავალფეროვნების კონსერვაციის, დაცული ტერიტორიების, ტურისტული მარშრუტებისა და სერვისების საკითხებზე საზოგადოების ცნობიერების ამაღლება წარმოადგენდა (2014)

გარემოსდაცვითი კამპანიები

ბიომრავალფეროვნების საერთაშორისო დღის აღსანიშნავად, ყოველი წლის 22 მაისს, საქართველოში ფართოდ გავრცელებული ფრინველების უკეთ გაცნობისა და გარემომცველი ბუნების მიმართ ახალგაზრდების პასუხისმგებლობის გრძნობის გაზრდის მიზნით, იმართება გარემოსდაცვითი საგანმანათლებლო კამპანია - "ბაღის ფრინველთა საათი"

ოზონის შრის დაცვის საერთაშორისო დღის მე-20 წლისთავს მიეძღვნა კამპანია. კამპანიის ფარგლებში გაიმართა საინფორმაციო შეხვედრები, ლექციები და სემინარები, ასევე სტუდენტური კონფერენცია „ოზონის შრე - სიცოცხლის ფარი". მოეწყო ახალგაზრდა დიზაინერების მიერ ოზონის შრის დაცვის თემაზე შექმნილი პოსტერების გამოფენა. მოსწავლეებისთვის გაიმართა სლოგანების კონკურსი (2015)

პროექტის - ,,მინამატას კონვენციის რატიფიცირებისა და მისი აღსრულების მიზნით საქართველოში გადაწყვეტილების მიღების პროცესის გაძლიერება და ინსტიტუციურ შესაძლებლობათა განმტკიცება" - ფარგლებში გაიმართა გარემოსდაცვითი კამპანია ვერცხლისწყლის თემაზე სტუდენტებისთვის და მოსაწავლეებისთვის (2016-2017)

თბილისში „გადაშენების პირას მყოფი ველური ფაუნისა და ფლორის სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ" (CITES) კონვენციის მცენარეთა კომიტეტის რიგით 22-ე შეხვედრის ფარგლებში გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრმა გამოაცხადა მოსწავლეთა ნახატების კონკურსი ველურ მცენარეთა და ცხოველთა დაცვის თემაზე, რომლის დროსაც ცენტრის წარმომადგენლების მიერ ცნობიერების ასამაღლებელი კამპანიები ტარდებოდა (2015)

„მწვანე" მომხმარებლის დღე 2016 წლიდან სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის ინიციატივით დაიწყო "მწვანე" მომხმარებლობის კამპანიის განხორციელება, რომლის მიზანი საქართველოში მომხმარებელთა ქცევის ცვლილება და ისეთი პროდუქციის პოპულარიზაციაა, რომლის მოპოვება, წარმოება, ტრანსპორტირება და უტილიზაცია ნაკლებ ზეგავლენას ახდენს გარემოზე.

მიზნის მისაღწევად მნიშვნელოვანია სახელმწიფო, კერძო და მედია სექტორის ერთობლივი მოქმედება, შესაბამისად ჩამოყალიბდა საინიციატივო ჯგუფი, რომლებიც შექმნან ინიციატივათა პაკეტს მომხმარებლების წასახალისებლად და ქცევის შესაცვლელად.

28 სექტემბერს, "მწვანე" მომხმარებლის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით "მწვანე" მომხმარებლობის კამპანიას ბიზნეს სექტორის წარმომადგენლები სხვადასხვა "მწვანე" აქციით შემოუერთდნენ და ასევე, "მწვანე" მოხმარების პოპულარიზაციის მიზნით კამპანიის ფარგლებში სამომავლოდ "მწვანე" აქციები დაგეგმეს.

კამპანიაში "მწვანე" სტარტაპერებიც ჩაერთნენ, რომელთაც საზოგადოებას საკუთარი პროდუქტი წარუდგინეს.

საინიციატივო ჯგუფის ერთ-ერთი ინიციატივით ჟურნალი OK! მკითხველს სთავაზობს ახალ რუბრიკას „მწვანე არჩევანი", რომელიც საზოგადოებას "მწვანე" სტარტაპებს და პროდუქტებს აცნობს.

2014-2017 წლებში გარემოსდაცვით კამპანიებში ჩაერთო 2300-ზე მეტი ადამიანი.

სასწავლო მოდულები

- ველური ბუნების დაცვა და კონსერვაცია (2017)
- რადიაციული უსაფრთხოების საკითხები სამედიცინო სფეროში (2017)
- გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის პატრულირებისა და სწრაფი რეაგირების თანამშრომელთა შესაძლებლობების გაძლიერება (სახელმძღვანელო და ტესტები) (2017)
- თავისუფალი გაკვეთილები (2017)
- გარემოსდაცვითი მართვა და გადაწყვეტილებები რიოს კონვენციების განხორციელების გაუმჯობესებული მონიტორინგისთვის (2017)
- ლანდშაფტისა და მიწის რესურსების მდგრადი მართვის დანერგვა (2017)
- სასერტიფიკატო თემები მაცივარაგენტზე მომუშვე მოწყობილობების მომსახურე ტექნიკოსისთვის (2016)
-
- სკოლამდელი გარემოსდაცვითი განათლება (2016)
- ჰიდრომეტეოროლოგიური კატასტროფების რისკების მართვა (2016)
- საქართველოს დაცულ ტერიტორიებზე ადმინისტრაციული სამართალდარღვევის გამოვლენა და შემდგომი რეაგირება (2015)
- გარემოსდაცვითი მმართველი (2015)
- ეკოპროექტების მენეჯმენტი (2015)
- მედია გარემოსთვის (2015)
- ტყის დაგეგმვისა და მართვის ძირითადი პრინციპები (2013)
- ახალაგაზრდა სპეციალისტთა ტყის ტაქსაციაში გადამზადების მოკლე კურსი (2014)
- გარემოსდაცვითი კანონმდებლობის აღსრულება და ტყის მართვა საქართველოს დაცულ ტერიტორიებზე (2014)
- ტრენენრთა ტრენინგის სახელმძღვანელო (2014)
- ადამიანის ეკოლოგიური უფლებები (2014)
- სამართალდარღვევები გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის სფეროში (2013)
- საქვეუწყებო დაწესებულება გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის ინსპექტორებისთვის ინსპექტირების პროცედურების და პრაქტიკული ასპექტების ზოგადი კურსი (2013)
- ძუძუმწოვრების ძირითადი სახეობების იდენტიფიცირების შესახებ კურსი (2013)
- გეოინფორმაციული სისტემის, როგორც საქმიანობის განხორციელებისთვის საჭირო ინსტრუმენტის შესახებ ტრენინგკურსი (2013)

პუბლიკაციები

- სკოლამდელი გარემოსდაცვითი განათლება - დამხმარე სახელმძღვანელო აღმზრდელ-თათვის (მეორე გამოცემა) (2017)
- გარემოსდაცვითი მართვა და გადაწყვეტილებები რიოს კონვენციების განხორციელების გაუმჯობესებული მონიტორინგისთვის (2017)
- ლანდშაფტისა და მიწის რესურსების მდგრადი მართვის დანერგვა (2017)
- სკოლამდელი გარემოსდაცვითი განათლება - დამხმარე სახელმძღვანელო აღმზრდელთათვის (2016)
- გააფერადე შენი ქვეყნის ბუნება (2016) - ბავშვებისთვის მომზადდა გასაფერადებელი, სადაც წარმოდგენილია საქართველოს უნიკალური ბიომრავალფეროვნება, რომელიც დალაგებულია ქართული ანბანის თანმიმდევრობით. გასაფერადებელი ბავშვებს ეხმარება გარემოს უკეთ შეცნობაში.
- სკოლამდელი გარემოსდაცვითი განათლება - დამხმარე სახელმძღვანელო აღმზრდელთათვის (2016)
- გარემოსდაცვითი განათლება მდგრადი განვითარებისათვის - გამჭოლი სტანდარტი (2015)
- მედია გარემოსთვის (2015)
- კვლევა - გარემოსდაცვითი განათლების შეფასება საქართველოში (2014)



სერტიფიცირება

სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი ახორციელებს **მაცივარაგენტზე მომუშავე მოწყობილობების მომსახურე ტექნიკოსის სერტიფიცირებას.**

2018 წლის 1 იანვრიდან მაცივარაგენტზე მომუშავე მოწყობილობების მომსახურების უფლება აქვს მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით სერტიფიცირებულ ტექნიკოსს.

სერტიფიცირების ვალდებულება 2019 წლის 1 იანვრამდე არ ვრცელდება იმ ტექნიკოსებზე, რომლებიც ემსახურებიან 3 კგ-ზე ნაკლებ მაცივარაგენტზე მომუშავე ჰაერის კონდიცირებისა და სამაცივრო მოწყობილობებს ან/და ტუმბოებს.



სტრატეგიული დოკუმენტები

,,განათლება მდგრადი განვითარებისათვის" - საქართველოს ეროვნული სტრატეგია და სამოქმედო გეგმა 2018-2022 (2017)

კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაციის ეროვნული გეგმა სოფლის მეურნეობის სექტორისთვის

პროექტის ფარგლებში საქართველოს აგრარული სექტორისთვის შემუშავდა ადაპტაციის ეროვნული გეგმა (NAP), რომელიც საშუალო და გრძელვადიანი საჭიროებების დაკმაყოფილებას მოემსახურება (2017)

გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციის (UNFCCC) საქართველოს პირველი ორწლიანი განახლებული ანგარიში (BUR)

შეიქმნა ინსტიტუციური და ტექნიკური შესაძლებლობები სამთავრობო დაწესებულებისთვის, როგორც ფინანსური, ისე ტექნიკური დახმარების აღმოჩენით, რისი საშუალებითაც განხორციელდა სათბური გაზების ემისიების ინვენტარიზაციის სამუშაოები და მომზადდა შესაბამისი თავი BUR დოკუმენტისთვის (2016)

გარემოს მდგომარეობის შესახებ ანგარიში (SOE) - თავი ,,გარემოსდაცვითი განათლება" (2014)

გარემოსდაცვითი განათლების შეფასება საქართველოში - კვლევა (2014)

მემორანდუმები

სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრმა გააფორმა შემდეგი ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმები:

- გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრმა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები გააფორმა მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნულ სასახლესთან. გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში მხარეები ერთობლივი პროექტებისა და ღონისძიებების განხორციელებით ხელს შეუწყობენ ახალგაზრდებში გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლებას (2017)

- გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრმა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები გააფორმა აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტთან. გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში მხარეები ერთობლივი პროექტებისა და ღონისძიებების განხორციელებით ხელს შეუწყობენ ახალგაზრდებში გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღ-ლებას (2017)

- გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრმა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები გააფორმა საზოგადოებრივ კოლეჯთან „აისი“. აღნიშნული მემორანდუმის მიზანია, პროექტის - „ლანდშაფტისა და მიწის რესურსების მდგრადი მართვის დანერგვა სა-სოფლო ტერიტორიებზე მიწის დეგრადაციისა და სიღარიბის შემცირების მიზნით“ ფარგლებში, მიწის რესურსების მდგრადი გამოყენების თაობაზე თავმოყრილი ცოდნის გაზიარება და ერთობლივი საგანმანათლებლო და ცნობიერებების ასამაღლებელი ღონისძიებების, პროექტებისა და მასალების მომზადება, წარდგენა და განხორციელება (2017)

- სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრსა და სსიპ საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა. მემორანდუმის მიზანია სკოლამდელ საგანმანათლებლო დაწესებულებებში გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლება და გარემოსდაცვითი კომპონენტის სწავლების ხელშეწყობა შესაბამისი ეკოსაგანმანათლებლო პროგრამების დანერგვით (2016)

- გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრსა და საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკას შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა. მემორანდუმი ითვალისწინებს სტუდენტებისა და დაინტერესებული პირებისათვის გარემოს-დაცვით თემებზე ერთობლივი საჯარო ლექციების, დისკუსიებისა და შეხვედრების გამართვას (2016)

- გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრსა და „საბუკო“ - საზოგადოება ბუნების კონსერვაციისათვის შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა. მემორანდუმი ველური ბუნებისა და მისი ბიომრავალფეროვნების კვლევის, შესწავლისა და კონსერვაციის ხელშეწყობას ითვალისწინებს. მხარეები ერთობლივად დაგეგმავენ და განახორციელებენ საკლასო და საველე საგანმანათლებლო აქტივობებს, სამეცნიერო და კვლევით ექსპედიციებს, ბიომრავალფეროვნების დაცვისა და შენარჩუნების ხელშემწყობ ღონისძიებებს (2016)

- სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრსა და სსიპ ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნულ ცენტრს შორის გაფორმდა ურთიერთთანამშომლობის მემორანდუმი, რაც ითვალისწინებს გარემოსდაცვითი ცნობიერების ასამაღლებელი სემინარების ჩატარებას (2014, 2015)

- გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრსა და რადიო “კომერსანტს” შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა, რაც გარემოსდაცვითი საკითხების შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლებასა და „მწვანე“, ინოვაციური პროდუქტების პოპულარიზაციას ითვალისწინებს (2015)



მერვე გარემოსდაცვითი მინისტერიალი

„გარემო ევროპისთვის"

2016 წლის 8-10 ივნისს, ქ. ბათუმში, გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისიის (UNECE) რიგით მე-8 გარემოსდაცვითი მინისტერიალის - „გარემო ევროპისათვის" (Environment for Europe (EfE) - სათანადო დონეზე ჩატარების მიზნით ორგანიზაციული საკითხების მოგვარება უზრუნველყო სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრმა.

საერთაშორისო კონფერენციის (მინისტერიალი) ფარგლებში მიღებულ იქნა გარემოსდაცვით სფეროში საკვანძო დოკუმენტები:

- ინიციატივა მწვანე ეკონომიკის შესახებ
- ბათუმის ქმედებები სუფთა ჰაერისთვის
- მინისტრთა განცხადებები მდგრადი განვითარებისთვის
- ბათუმის დეკლარაცია

მინისტერიალში მონაწილეობა მიიღო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ევროპის ეკონომიკური კომისიის (UNECE) და ევროპის კომისიის წევრ სახელმწიფოთა (56) 500-მდე ოფიციალურმა წარმომადგენელმა, საერთაშორისო, არასამთავრობო, კერძო სექტორისა და სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების 400-მდე წარმომადგენელმა.



კლიმატის მწვანე ფონდი

სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის ორგანიზებით 2017 წლის 31 წლის მაისიდან 2 ივნისის ჩათვლით გაიმართა **კლიმატის მწვანე ფონდის რეგიონული შეხვედრა აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის ქვეყნების წარმომადგენლებისთვის.**

შეხვედრაზე დამსწრე საზოგადოებამ მიიღო ინფორმაცია კლიმატის მწვანე ფონდში არსებული რესურსებისადმი ხელმისაწვდომობის გზების შესახებ, როგორც შემარბილებელი, ისე საადაპტაციო ღონისძიებებისა თუ პროგრამების განსახორციელებლად. ასევე მოხდა კლიმატის მწვანე ფონდისთვის მზაობის დახმარების, პროექტების მომზადებისა და წარდგენის პროცედურების გაცნობა. შეხვედრას 14 ქვეყნის ასამდე წარმომადგენელი ესწრებოდა.

კლიმატის მწვანე ფონდისა და „საქართველოს კლიმატის მწვანე ფონდისთვის (GCF) მზადყოფნისა და მოსამზადებელი სამუშაოების“ პროექტის თაობაზე ინფრომაციის გავრცელების მიზნით სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის ვებ გვერდზე შეიქმნა შესაბამისი **ვებ-პლატფორმა.**

გარემოსდაცვითი ინფორმაცია

სამართლებრივი საფუძვლები

საკანონმდებლო ცვლილება: ტერმინი - „გარემოსდაცვითი ინფორმაცია"

გარემოსდაცვით ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისა და მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის მიზნით, "გარემოს დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის მე-4 მუხლში შევიდა ცვლილება და დაემატა ტერმინი „გარემოსდაცვითი ინფორმაცია" (2016).

გარემოსდაცვით ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის წესი

გამოიცა საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2017 წლის 27 მარტის N12 ბრძანება "საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების წესის, საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის სტანდარტისა და გარემოსდაცვით ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის წესის დამტკიცების შესახებ".

ვებ გვერდი - eiec.gov.ge

შეიქმნა სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის ორენოვანი (ქართული და ინგლისური) ვებ გვერდი (www.eiec.gov.ge), რომელიც აერთიანებს გარემოსდაცვითი ინფორმაციას თვრამეტი[1] თემატური კატეგორიის ქვეშ. თითოეული კატეგორია შეიცავს სექტორის შესახებ მონაცემებს, პროექტებს, გარემოსდაცვით საკანონმდებლო ბაზას და სხვა მნიშვნელოვან დოკუმენტებს (2015).

[1] *ბიომრავალფეროვნება, გარემოსდაცვითი განათლება, კლიმატის ცვლილება, წიაღისეული, წყალი, ჰაერი, ნარჩენები, გარემოსდაცვითი ნებართვები, მიწა, რადიაციული უსაფრთხოება, კატასტროფები, მწვანე საფარი, ენერგია, გარემოსდაცვითი პოლიტიკა, გარემოსდაცვითი კონტროლი, დაცული ტერიტორიები, გარემო და ჯანმრთელობა, მწვანე ეკონომიკა*



ცენტრის ვებ გვერდის მეშვეობით, ასევე ხელმისაწვდომია:

- გარემოსდაცვითი ენციკლოპედია - სადაც თავმოყრილია ინფორმაცია საქართველოს წითელი ნუსხისა და სხვა მნიშვნელოვანი გარემოსადცვითი თემების შესახებ
- გარემოსდაცვითი ბიბლიოთეკა - წარმოადგენს სსიპ გარემოსადცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის ბიბლიოთეკაში არსებული წიგნების ჩამონათვალს, რომლებიც მსურველს ცენტრში მოსვლისას შეუძლია წაიკითხოს
- გარემოსდაცვითი ლექსიკონი - რომელიც მოიცავს 5 000-ზე მეტ გარემოსდაცვით ტერმინს ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენაზე
- დოკუმენტები - ეროვნული მოხსენებები, წლიური ანგარიშები, სამოქმედო გეგმები, საინფორმაციო ბიულეტენები, საერთაშორისო კონვენციები და ხელშეკრულებები
- გარემოსდაცვითი ორგანიზაციების მონაცემთა ბაზა - თავმოყრილია გარემოს დაცვის სფეროში მოღვაწე სხვადასხვა ორგანიზაციები მათი საკონტაქტო ინფორმაციით

ელექტრონული სერვისები

ცენტრი, ვებ გვერდის საშუალებით საზოგადოებას სთავაზობს შემდეგ ელექტრონულ სერვისებს:

- ელექტრონული შეტყობინება - ინფორმაცია გარემოსდაცვით სფეროში არსებული ახალი კანონისა თუ კანონქვემდებარე აქტების, მათში ცვლილებების შეტანის, გარემოზე ზემოქმედების შესახებ ანგარიშების საჯარო განხილვების, საჯარო დისკუსიებისა თუ ახალი სტრატეგიული დოკუმენტების შემუშავების შესახებ. გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის დაგეგმილი საჯარო განხილვების შესახებ

- მწვანე ასისტენტი - გარემოსდაცვით თემაზე სემინარის, ტრენინგის, კონსულტაციის, საჯარო დისკუსიის ელექტრონულად მოთხოვნა

- შეტყობინება კანონდარღვევის შესახებ - გარემოსდაცვითი კანონდარღვევის შესახებ შესაბამისი უწყებისთვის ინფორმაციის ელექტრონულად მიწოდების ხელშეწყობა და კოორდინაცია

- დასვი შეკითხვა - გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებით შეკითხვების ელექტრონულად მიღება და შესაბამისი რეაგირება

- გამოწერა - ინფორმაციის მიღება გარემოსდაცვით სფეროში არსებული სიახლეების, გამოწვევებისა და მიღწევების, საინტერესო სემინარების, ტრენინგებისა თუ ვაკანსიების შესახებ

გარემოზე ზემოქმედების ნებართვების რუკა / რეესტრი

სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი აწარმოებს გარემოზე ზემოქმედების ნებართვების რუკა/რეესტრს (www.maps.eiec.gov.ge), რომელიც წარმოადგენს რუკაზე განთავსებულ, გარემოზე ზემოქმედების ნებართვების მქონე, ობიექტებს შესაბამისი ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნითა და გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანაგარიშით. აღნიშნულ რეესტრში ინფორმაცია თავმოყრილია 1995 წლიდან დღემდე.

გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და ცოდნის მართვის სისტემა

სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი ახორციელებს გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და ცოდნის მართვის სისტემის შექმნას, რომელიც:

1. დაეხმარება საქართველოს მთავრობას გადაწყვეტილების მიღებისა და პოლიტიკის დაგეგმვა/ ფორმირების პროცესში
2. უზრუნველყოფს სანდო გარემოსდაცვით მონაცემებზე/ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობას
3. დაზოგავს ადამიანურ და დროის რესურსს
4. ხელს შეუწყობს ეროვნული და საერთაშორისო ვალდებულებების (ასოცირების შეთანხმება, რიოს სამი კონვენცია, ორჰუსის კონვენცია) შესრულებას

გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და ცოდნის მართვის სისტემის სახით იქმნება პლატფორმა, რომელიც უზრუნველყოფს გარემოსდაცვითი მონაცემების/ინფორმაციის კონსოლიდაციას, ანალიზსა და გაზიარებას.

ცოდნის მართვის სისტემის მეშვეობით შესაძლებელია შემდეგი ფუნქციონალის კონფიგურირება და განხორციელება:

- მოდელირება, პროგნოზირება და ანგარიშგება
- რისკების მართვა და გადაწყვეტილების მხარდაჭერა
- საჯარო ინფორმაციის გამოქვეყნება
- საკანონმდებლო ბაზის სტრუქტურირებული შენახვა და რეფერირება
- პროექტების/პროგრამების, ასევე პროგრამების ფარგლებში დაგეგმილი ღონისძიებების, სიახლეების, მოვლენების და ა.შ. სტრუქტურირებული შენახვა და რეფერირება
- გეოგრაფიული საინფორმაციო სისტემა (GIS) - სივრცული ინფორმაციის ანალიზისა და ინტერპრეტაციისათვის

ზემოაღნიშნული მიზნების მისაღწევად და სისტემის შექმნისთვის, გაეროს განვითარების პროგრამისა (UNDP) და გლობალური გარემოსდაცვითი ფონდის (GEF) პროექტის - "გლობალური გარემოს მონიტორინგის გაუმჯობესებისა და მის შესახებ ცოდნის ამაღლების მიზნით ინფორმაციის მართვის ჰარმონიზება საქართველოში" ფარგლებში, ცენტრის მიერ მომზადდა შემდეგი ანგარიშები:

- ბიომრავალფეროვნების, კლიმატის ცვლილების და მიწის დეგრადაცია/გაუდაბნოების ზემოქმედებისა და ტენდენციების მონიტორინგის ეროვნული საჭიროებების შეფასება და ხარვეზების აღმოფხვრის გეგმა (2016)
- მონაცემების და მონაცემთა ბაზების იდენტიფიცირება, რომელიც უნდა გახდეს გარემოსდაცვითი ინფორმაციის/ცოდნის მართვის სისტემის ნაწილი (2016)
- გარემოსდაცვითი ინფორმაციის/ცოდნის მართვის სიტემის კონცეფცია (2016)
- გარემოსდაცვითი ინფორმაციის/ცოდნის მართვის სისტემის მასშტაბირებადი ინფრასტრუქტურის ტექნიკური დავალება (2016)
- გლობალური გარემოს მონიტორინგის გაუმჯობესებისა და მის შესახებ ცოდნის ამაღლების მიზნით, რიოს სამი კონვენციით ნაკისრი ვალდებულებების ინტეგრაციისთვის ეროვნული უწყებების მანდატების (როლი და პასუხისმგებლობა) ჰარმონიზება (2016)
- გაეროს კონვენციის ბიოლოგიური მრავალფეროვნების შესახებ განხორციელების მონიტორინგისთვის ინდიკატორების ჰარმონიზება (2016)
- რიოს კონვენციების განხორციელების და ანგარიშგებისთვის საჭირო გარემოსდაცვითი მონაცემების მართვის და მონიტორინგის პროცესში არსებული უწყებათშორისი თანამშრომლობის გამოწვევების და ბარიერების ინსტიტუციური ანალიზი (2016)
- საკომუნიკაციო სტრატეგია (2016)
- გარემოსდაცვითი ინფორმაციის/ცოდნის მართვის სისტემისათვის მონაცემთა გადამოწმებისა და ვალიდაციის ზოგადი სახელმძღვანელო (2017)
- რიოს სამი კონვენციის განხორციელების გაუმჯობესებული მონიტორინგისთვის როლებისა და პასუხისმგებლობების განაწილების შესახებ შემოთავაზებული რეკომენდაციების აღსრულებისთვის საკვანძო სამუშაო აღწერილობები (2017)
- რიოს სამი კონვენციის შესრულების მონიტორინგისა და ანგარიშგებისთვის ელექტრონული სისტემის შესაბამისი მოდულების შინაარსი (დავალებები) (2017)
- ტრენინგმოდული რიოს სამი კონვენციის შესრულების გაუმჯობესებული მონიტორინგისთვის, დაგეგმვისა და მონიტორინგის პროცესში გარემოსდაცვითი მართვის საკითხების ინტეგრირების მნიშვნელობის შესახებ (2017)

ნარჩენების მართვის ელექტრონული სისტემა

ცენტრმა უზრუნველყო ნარჩენების მართვის ელექტრონული სისტემის შექმნა, რომლის მიზანია ნარჩენების მართვასთან დაკავშირებული საქმიანობების რეგისტრაციების წარმოება, ნარჩენების აღრიცხვა-ანგარიშგების შესახებ მონაცემების შეგროვება, ასევე კომპანიის ნარჩენების მართვის გეგმების და ნარჩენების პირველადი ინვენტარიზაციის დოკუმენტების ელექტრონული ფორმით სამინისტროში წარმოდგენა, რაც მთელი ქვეყნის მასშტაბით წარმოქმნილი ნარჩენების მართვის შესახებ მონაცემების შეგროვების საშუალებას მოგვცემს (2017)

ჰაერის მონიტორინგის სისტემა

ცენტრის კოორდინაციით შემუშავდა სტაციონარული წყაროებიდან ჰაერში გაფრქვევების ელექტრონული ფორმა გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის ატმოსფერული ჰაერის დაცვის სამსახურთან და ფინანსთა სამინისტროს სსიპ „ანალიტიკურ საფინანსო სამსახურთან“ თანამშრომლობით (2014)

ტესტირების სისტემა

სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის მიერ შეიქმნა მაქსიმალურად ადაპტირებადი ტესტირების ელექტრონული სისტემა, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელია სხვადასხვა ტიპისა და თემატიკის ტესტირების ჩატარება, პროგრესის შეფასება, ანალიტიკის და ანგარიშების წარმოება.

სისტემის მეშვეობით წარმატებით დაიწყო მაცივარაგენტზე მომუშავე მოწყობილობების მომსახურე ტექნიკოსთა სერტიფიცირებისთვის კანდიდატების ტესტირება.

2013-2017 წლის განმავლობაში სახელმწიფო ბიუჯეტით სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრისთვის გამოყოფილმა დაფინანსებამ შეადგინა 2,616,300 ლარი, ხოლო მოზიდული გრანტებითა და საკუთარი შემოსავლით მიღებულმა ჯამურმა ბიუჯეტმა შეადგინა 4,187, 630 ლარი.

დონორი ორგანიზაციები

ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია **(OSCE)** - "ორჰუსის ცენტრები სამხრეთ კავკასიაში"

გაეროს განვითარების პროგრამა **(UNDP)** - ,,მინამატას კონვენციის რატიფიცირებისა და მისი აღსრულების მიზნით საქართველოში გადაწყვეტილების მიღების პროცესის გაძლიერება და ინსტიტუციურ შესაძლებლობათა განმტკიცება"

გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება **(GIZ)** - კვლევა - გარემოსდაცვითი განათლების შეფასება საქართველოში

გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება **(GIZ)** - „განათლება მდგრადი განვითარებისათვის" სტანდარტის შემუშავების პროცესში მხარდაჭერა

გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება **(GIZ)** - ,,განათლება მდგრადი განვითარებისათვის" - საქართველოს ეროვნული სტრატეგია და სამოქმედო გეგმა (2018-2022)

გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება **(GIZ)** - სატყეო სააგენტოს ტრენერთა შიდა რეზერვის ჩამოყალიბება ტყის მცველთა წვრთნისათვის

გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება **(GIZ)** - ეროვნული სატყეო სააგენტოს თანამშრომლების, ტყის მცველების, შესაძლებლობების გაძლიერება

გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება **(GIZ)** - ტრენინგი „ტყის დაგეგმვისა და მართვის ძირითადი პრინციპები" ეროვნული სატყეო სააგენოტოს ტყის მცველებისთვის

გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება **(GIZ)** - ინვენტარიზაციის მეთოდებზე ეროვნული სატყეო სააგენტოს თანამშრომლებისა და სატყეო მიმართულებით ბაკალავრის ხარისხის მქონე პირების თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების გაუმჯობესება

გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება **(GIZ)** - ტრენინგი ტრენერთათვის „როგორ ვიყოთ კარგი ტრენერი" დაცული ტერიტორიების სააგენტოს თანამშრომლებისათვის

ბუნების დაცვის საერთაშორისო კავშირი **(IUCN)** - „საკონსულტაციო ორგანიზაცია დაცული ტერიტორიების სააგენტოს რეინჯერების ტრენინგებისთვის"

ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტო **(USAID)** - გარემოს მდგომარეობის შესახებ ანგარიშის მომზადებაში ტექნიკური დახმარების გაწევა და დაცული ტერიტორიების სააგენტოს თანამშრომლების შესაძლებლობების გაძლიერება კანონმდებლობის აღსრულებაში

გაეროს განვითარების პროგრამა **(UNDP)** და გლობალური გარემოსდაცვითი ფონდი **(GEF)** -„აჭარის დაცული ტერიტორიების გაფართოება და მათი მართვის დახვეწა"

გაეროს განვითარების პროგრამა **(UNDP)** - მაცივარაგენტზე მომუშავე მოწყობილობების მომსახურე 100 ტექნიკოსის უფასოდ გადამზადება

გაეროს განვითარების პროგრამა **(UNDP)** და გლობალური გარემოსდაცვითი ფონდი **(GEF)** - „გლობალური გარემოს მონიტორინგის გაუმჯობესებისა და მის შესახებ ცოდნის ამაღლების მიზნით ინფორმაციის მართვის ჰარმონიზება საქართველოში“

გლობალური გარემოსდაცვითი ფონდი **(GEF)** და კავკასიის რეგიონული გარემოსდაცვითი ცენტრი **(REC Caucasus)** - „მიწის დეგრადაციისა და სიღარიბის შემცირების მიზნით სასოფლო ტერიტორიებზე ლანდშაფტისა და მიწის რესურსების მდგრადი მართვის დანერგვა”

გლობალური გარემოსდაცვითი ფონდი **(GEF)** და გაეროს განვითარების პროგრამა **(UNDP)** - „გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციისადმი საქართველოს პირველი ორწლიანი განახლებული ანგარიში”

სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდის **(IFAD)** და გლობალური გარემოსდაცვითი ფონდის **(GEF)** პროექტის „სოფლის მეურნეობის მოდერნიზაცია, ბაზარზე წვდომა და მოქნილობა“ **(AMMAR)** ფარგლებში მომზადდა კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაციის ეროვნული გეგმა სოფლის მეურნეობის სექტორისთვის

Internews Europe - “მედიის როლის გაძლიერება ბუნების კონსერვაციის პროცესში”
გაეროს განვითარების პროგრამა **(UNDP)** - “ჰიდრომეტეოროლოგიური საფრთხეების შესახებ ადგილობრივი მოსახლეობის ჩართულობა და ცნობიერების ამაღლება”

კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელი **(CENN)** - გასაფერადებელი - გააფერადე შენი ქვეყნის ბუნება

კლიმატის მწვანე ფონდი **(GCF)** - კლიმატის მწვანე ფონდის რეგიონული შეხვედრა აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის ქვეეყნების წარმომადგენლებისთვის

გაეროს გარემოსდაცვითი პროგრამა **(UNEP)** და ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროგრამა “მწვანე ეკონომიკის ხელშეწყობა აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში” **(EaP Green)** - უსაფრთხო და სუფთა წარმოების შესახებ სამუშაო შეხვედრა

გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება **(GIZ)**- ტელეპროექტი გარემოსდაცვითი საკითხების შესახებ ცნობიერების ასამაღლებლად